J-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1933 წლის აპრილის 15	№ 7 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

მუხ. 59. „სასწავლებლების საერთო-საცხოვრებლებით უზრუნველყოფის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 4-ის დადგენილებისა და ამავე საკითხზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 13-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

60. „1933 წელს ა/კსფსრ საბოსტნე მეურნეობის განვითარების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

61. „სტალსბიტის“ ამიერკავკასიის კონტორის მუშაობის შესახებ.

62. ხეტყისა და შეშის დამზადების და გამოზიდვის მსვლელობის შესახებ.

63. „კავშირგაბმულობის მომუშავეთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში აღსრულების მსვლელობის შესახებ.

64. საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში ხეტყის დამზადების მსვლელობის შესახებ.

65. "სასკოლო სადგომების გამოყენების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების აღსრულების საკითხის შესახებ.

66. „სტუდენტების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სადირექტივო და მთავრობის ორგანოების დადგენილებათა აღსრულების შესახებ.

1571

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

59. „სასწავლებლების საერთო-საცხოვრებლებით უზრუნველყოფის თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 4-ის დადგენილებისა და ამავე საკითხზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 13-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

მავნებლებთან ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტი. სტუდენტთა საერთო რიცხვიდან (402 კაცი) საერთო საცხოვრებელში მოთავსებულია 174 კაცი, რომელთაც უჭირავთ 685 კვ. მეტრი (3,9 კვ. მეტრი თვითეულ სტუდენტზე).

საერთო-საცხოვრებელში ბინადრობენ ოჯახიანი სტუდენტები და უცხო პირები. ინსტიტუტის სასწავლო სადგომებები საცხოვრებლად დაჭერილი არ არის. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ამხ. გ ო რ დ ა ძ ი ს ა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის განცხადებით, ინსტიტუტს დამატებითი საცხოვრებელი ფართობი არ ესაჭიროება. საერთო-საცხოვრებლის მდგომარეობა მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელია. არ არის გათბობა, ღუმელები, განათება; ხშირად არც წყალია; საპირფარეშოები ამოხორვილია; არ არის წყლის ბაკები; ოთახებში მინები ჩამტვრეულია. საერთო-საცხოვრებლის სანიტარული მდგომარეობა ცუდია და სხვა მისთ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ე ნ ე რ გ ე ტ ი უ ლ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი.

სტუდენტთა რიცხვი—931 (დაადგენილია შემცირდეს 800-დე). საერთო-საცხოვრებელში მოთავსებულია 200 კაცი (25%); თითო კაცზე მოდის 3 კვ. მეტრი. საერთო-საცხოვრებელში ბინადრობა ესაჭიროება კიდევ 50 კაცს, რომელნიც დროებით ნაცნობებთან და ნათესავებთან ცხოვრებენ. სასწავლო სადგომები საცხოვრებლად დაჭერილი არ არის. შენდება ახალი საერთო-საცხოვრებლის 100 კაცისათვის; მშენებლობა მძიმედ მიმდინარეობს. საერთო-საცხოვრებელი სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, თუმცა შენობა განსაკუთრებულ რემონტს არ საჭიროებს. სწარმოებს მუშაობა გათბობის მოსაწყობად. კანალიზაცია ურიგო მოგომარეობაშია. საერთო-საცხოვრებელში ბინადრობს 24 ოჯახიანი სტუდენტი.

ს ა მ თ ო-ს ა ქ ი მ ი ო ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი.

სტუდენტთა საერთო რიცხვი—1687; მათ შორის საერთო-საცხოვრებელში მოთავსებულია 522 კაცი; საერთო-საცხოვრებელში მობინადრე 75 კაცი სხვა სასწავლებლებში სწავლობს (ქიმიურ ტექნიკუმსა და ქიმიურ კომბინატში). საშუალო ნორმა თვითეულ სტუდენტზე—3 კვ. მეტრია. საერთო-საცხოვრებელში ბინადრობა ესაჭიროება კიდევ 250 კაცს. ინსტიტუტის შენობაში დარჩენილნი არიან კერძო მობინადრენი. სასწავლო ფართობი საერთო-საცხოვრებელს არ უჭირავს. საერთო-საცხოვრებელს ემჩნევა სიმჭიდროვე. სანიტარული მდგომარე-

ობა მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელია (წყალი არ მოდის, კანალიზაცია რიგზე არ არის და გათბობა არ არსებობს.

ს ა ტ ყ ე ო-ს ა ტ ე ქ ნ ი კ ო ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი.

სტუდენტთა საერთო რიცხვი—976. რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები ყველა უზრუნველყოფილია საერთო-საცხოვრებლით (259 კაცი). საცხოვრებელი ფართობის საშუალო კვადრატურა თითო სტუდენტზე—3,5 კვ. მეტრია. სასწავლო სადგომები საცხოვრებლად დაჭერილი არ არის. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საერთო-საცხოვრებელში არადამაკმაყოფილებელია; გათბობა არ არის, ჭუჭყია და სივიწროე. საერთო საცხოვრებელში ბინადრობს ორი ოჯახი (1 სტუდენტისა და ყოფილი კომენდანტისა).

კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ი ს ი ნ ჟ ე ნ ე რ თ ა ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი.

სტუდენტთა საერთო რიცხვი—245; საერთო საცხოვრებელში ბინადრობს 55 კაცი (22 $^1/_2$%-ი).

ისეთი სტუდენტები, რომელთაც საერთო საცხოვრებელი კიდევ ესაჭიროებოდეთ, არ არიან. სანიტარული მდგომარეობა საერთო საცხოვრებელში დამაკმაყოფილებელია; საშუალო კვადრატურა თითო სტუდენტზე ნორმალურია.

ე თ ე რ ო ვ ა ნ-ზ ე თ ო ვ ა ნ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი.

აფხაზეთის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული აღსრულების შემოწმებული კომისიის ცნობით, ამ ჟამად მოსწავლენი სრულიად დაკმაყოფილებულ არიან საერთო-საცხოვრებლით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს მავნებლებთან ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტისა, სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტისა, სამთო-საქიმიო ინსტიტუტისა და ენერგეტიული ინსტიტუტის დირექტორებს და აგრეთვე მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ.სსრ-ში) კადრების სექტორების უფროსთ გაანთავისუფლონ ა/წ. აპრილის 1-დან მაისის 1-დე საერთო-საცხოვრებლების სადგომები სტუდენტების ოჯახებისა და კერძო მდგმურებისაგან.

2. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და ტფილისის ენერგეტიული ინსტიტუტის დირექტორს—დააჩქარონ ახალი საერთო-საცხოვრებლის მშენებლობა ისეთი ვარაუდით, რომ იგი დამთავრებულ იქვეს 1933 წ. სექტემბრის 1-თვის და აგრეთვე დაამთავრონ გათბობის მოწყობა ა/წ. თებერვლის 20-თვის.

3. დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, სამთო-საქიმიო ინსტიტუტის დირექტორს ამხ. მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ს და ტფილისის საბჭოს—გადაიყვანონ ერთი თვის ვადაზე ქიმიური ტექნიკუმისა და ქიმიური კომბინატის 75 მოსწავლე საერთო-საცხოვრებლიდან სხვა სადგომში და დააჩქარონ ფაბრიკა-სამზარეულოს მშენებლობის (და გაწყობის) დამთავრება.

4. საერთო-საცხოვრებლების შეუწყნარებელი სანიტარულ-ჰიგიენური სდგომარეობისათვის, რაც შედეგია სუსტი მუშაობისა სტუდენტობის კულტურულ-სა-

ყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში, მიენიშნოს მავნებლებთან ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ხაჭაპურიძეს და გამოეცხადოს საყვედური მის მოადგილეს (საადმ.-სამეურნეო ნაწილის ხაზით) ამხ. გორდაძეს, მიენიშნოს სამთო-საქიმიო ინსტიტუტის დირექტორის ამხ. მამულაიშვილს, ენერგეტიული ინსტიტუტის დირექტორს ამხ. პერვუშინს, სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტის ყოფ. დირექტორს ამხ. აღნიაშვილს და გამოეცხადოს საყვედური მის მოადგილეს (საად-სამეურნეო ნაწილის ხაზით) ამხ. ჩოდრიშვილს.

5. მარტის დასაწყისში აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნეს სტუდენტთა ქალაქის ადმინისტრაციის მოხსენება მის და სხვა სათანადო ორგანიზაციების მიერ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების („სტუდენტობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე") აღსრულების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. **ვარძიელი**

1933 წ. თებერვლის 13.
ტფილისი

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

60. „1933 წელს ა/კსფსრ საბოსტნე მეურნეობის განვითარების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის (ამხ. შოხინის) ცნობა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ ბოსტნეულის და კარტოფილის საგაზაფხულო თესვის სამზადისი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად.

სამომხმარებლო კოოპერაციისა, მუშათა დახურული კოოპერატივებისა და სატრანსპორტო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობა ჯერ კიდევ უზრუნველყოფილ არ არიან ვარგისი მიწის ნაკვეთებით და სათესი მასალით.

ტრაქტორების და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღის რემონტი მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად.

კარტოფილის სათესლე ფონდის რაოდენობა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნულ ვადაზე (დეკემბრის 20) სრულად არ არის შექმნილი და ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის გაშლილი არ არის მუშაობა სათესლე ფონდის ისეთი რაოდენობით „დაბრონირებისათვის", რაც უზრუნველჰყოფს გეგმას.

1933 წლის იანვრის 30-თვის შექმნილი მდგომარეობის მიხედვით ა/კსფსრ-ში სათესლე კარტოფილი შეგროვილია 58,4%; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში 51,8%; სომხეთის სსრ-ში—93,6% და საქართველოს სსრ-ში—40,2%.

თესლის საჭირო რაოდენობა ცალკეული სექტორებისა და სისტემების ხაზით გამორკვეული არ არის და შედგენილი საბოსტნე თესლეულის ბალანსები არარეალურია.

სამზადისის ტემპები და შემოსაზიდად დასახული რაოდენობა როდი უზრუნველჰყოფს გეგმით გათვალისწინებული საბოსტნე კულტურების თესვას (განსაკუთრებით საქართველოში.

თესლეულის ცალობით ვაჭრობა ყველა რესპუბლიკაში სუსტად არის გაშლილი. ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის რეალურად განხორციელებული არ არის.

თესლთბრუნვა განსაზღვრული არ არის; ზამთრისპირული ხვნის გეგმა არ შესრულებულა და სხვა მისთ.

კერძოდ—აზერბაიჯანის სსრ-ში, როგორც აზერბაიჯანის სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მასალიდან სჩანს, ხმარებული არ არის ღონისძიებანი კოლექტიურ მეურნეობებსა, კოოპერატიულ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში შინაგანი სათესლე ფონდების აღრიცხვისათვის, რის გამოც გამოანგარიშებული როდია, რაოდენი სათესლე მასალაა საჭირო.

აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, დაუსაბუთებელ (გადაჭარბებულ) განაცხადების საფუძველზე, ორჯერ შედგენილი რესპუბლიკანური ბალანსი იძლევა დამახინჯებულ სურათს 1933 წლის სათესი ფართობის დაფარვისას.

თესლეულის დამზადება და დაგროვება მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც ჩაშლის საფრთხეში აყენებს გეგმის განხორციელებას.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აქამდე არ წარუდგენია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის განსახილველად საკითხი საბოსტნე კულტურების წამლობისა და მავნებლებთან ბრძოლის შესახებ, არ გაუზუსტებია ახალი სათბურების ჩარჩოებისადმი მოთხოვნილება ყველა რესპუბლიკაში, არ მოუწყვია ძველი ჩარჩოების რემონტი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან არ დაუმუშავებია საკითხი საბოსტნე რაიონებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების სამრეწველო ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე და ცალკეულ საწარმოებზე მიმაგრების შესახებ ბოსტნეულით მუშების მოსამარაგებლად ხანგრძლივი ვადის განმავლობაში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ჯერ კიდევ შედგენილი არ არის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმდების სახალხო კომისარიატებს, „სოუზსემენოვოდის" ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, შეუთანხმონ ერთი დეკადის ვადაზე საბოსტნე კულტურებისა და კარტოფილის სათესლე ბალანსი დასახულ ფართობებს სექტორების კვალობაზე.

ამხ. მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი ს (ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი), ამხ. მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა (საქ. სსრ მიწ. სახ. კ-ტი), ამხ. ე ს ა ი ა ნ ი ს ა (სომხ. სსრ მიწ. სახ. კ-ტი) და ამხ. ვ ე ზ ი რ ო ვ ი ს (აზერბ. სსრ მიწ. სახ. კ-ტი) პასუხისმგებლობით უზრუნველყოფილ იქნეს სათესლე კარტოფილის და საბოსტნე კულტურების მოგროვება და ეს დამთავრებულ იქნეს 1933 წ. თებერვლის 25-თვის; ამასთან ერთად, განხორციელებულ იქნეს ღონისძიებანი სათესლე კარტოფილისა და საბოსტნე კულტურების გამოსაყოფად ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს თესვის გეგმას.

2. აღიძრას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ იმ რაიონებში, რომელთაც სათესლე ფონდის დაგროვების გეგმა არ შეუსრულებიათ, აიკრძალოს კარტოფილის გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, სატრანსპორტო და წყალსავალ გზათა კოოპერაციას და მუშათა დახურულ კოოპერატივებს—დაავალონ საგარეთუბნო მეურნეობების დირექტორებს უზრუნველჰყონ საგაზაფხულო მებოსტნეობის გეგმის სავსებით აღსრულება მარტის 1-თვის სატრაქტორო პარკისა, მისაბმელი ინვენტარისა, თესლეულისა და სასათბურო მეურნეობის განმზადებლთ, და აგრეთვე გადასწყვიტონ საბოლოოდ დაფინანსების საკითხები.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე, რამდენად უზრუნველყოფილ არიან ვარგისი მიწის ნაკვეთებით სამომხმარებლო სისტემისა, სატრანსპორტო კოოპერაციისა, მუშათა დახურული კოოპერატივებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საგარეთუბნო მეურნეობანი, და გააზუსტონ საკონსერვო და ხილბოსტნეულ საწარმოთა ზონებში ბოსტნეულის თესვის გეგმები ისეთი ვარაუდით, რომ ეს საწარმონი სავსებით უზრუნველყოფილ იქნენ სათანადო ასორტიმენტის კულტურებით.

5. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტს (ამხ. მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ს), მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. განყოფილებასთან (ამხ. ჟლენტთან) ერთად, საბოლოოდ განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე ბოსტნეული კულტურების წამლობის და მავნებლებთან ბრძოლის ორგანიზაციის წესი

(დაფინანსება, ხელშეკრულების დადება) და ეს მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. თებერვლის 25-ს.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ თესლეულის ვაჭრობა.

7. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან ამხ. ი ა გ ნ ე ტ ი ნ ს კ ი ს —დაამთავროს ა/წ. მარტის 5-თვის საბოსტნე რაიონების ძირითად სამრეწველო ცენტრებზე და ცალკეული დიდრონი და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების დიდრონ საწარმოებზე მიმაგრება.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—გარდაქმნან აპარატის (საბოსტნე ჯგუფების) მუშაობა ისეთი ვარაუდით, რომ ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევით სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს ა/კსფსრ-ში მებოსტნეობის განვითარების კონკრეტული ამოცანების აღსრულება.

9. მიენდოს აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ „საბოსტნე კულტურების საგაზაფხულო თესვის მომზადების შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების არადამაკმაყოფილებლად აღსრულების მიზეზები და მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში (კერძოდ—შეამოწმონ საქართველოში კარტოფილის სათესლე ფონდის შეგროვების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზები და ტფილისის მუშათა დახურული კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთების დაგვიანებით მიჩენის მიზეზები).

ამის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებანი უნდა ეცნობოს ა/კსფსრ სკს-თან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას არა უგვიანეს ა/წ. მარტის 10-სა.

10. აღსრულების შემმოწმებელი კომისია მიაქცევს ა/კსფსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ბ უ ნ ი ა თ-ზ ა დ ე ს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „საბოსტნე მეურნეობის განვითარების შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გამო ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ მარტო ფორმალური დირექტივები დაგზავნა და როდი უზრუნველჰყო კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისათვის; თანაც მან არ მოაწყო კონტროლი როგორც სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ისე მის მიერ დაგზავნილი დირექტივების აღსრულებისათვის, რის გამოც ჩაიშალა ზამთრის მებოსტნეობის საქმე და აგრეთვე საგაზაფხულო საბოსტნე კამპანიის სამზადისი.

11. მიენიშნოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ს შეუწყნარებელი დაყოვნება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბოსტნე მეურნეობის თაობაზე გამოცემული დადგენილების აღსრულებაში, რის შედეგადაც ტფილისის მუშათა დახურული კოოპერატივების მიწებით უზრუნველყოფის საკითხი პირველად კონკრეტულად დაყენებულ იქნა მხოლოდ 1933 წ. თებერვლის 9-ს.

12. მიწების მიჩენის ხაზით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ აღმასრულებელს ამხ. ფ ა რ ე მ უ ზ ო ვ ს, თავისი მოვალეობის უგულვებელყოფისათვის, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ი. **ვარძიელი.**

1933 წ. თებერვლის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

61. „სტალსბიტის“ ამიერკავკასიის კონტორის მუშაობის შესახებ.

მოისმინა-რა „სტალსბიტის“ ამიერკავკასიის კონტორის მმართველის ამხ. პ ო დ ო ლ ს კ ი ს მოხსენება, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1932 წელს ლითონის წლიური გაცემის საერთო პროცენტი შეადგენს 77,6%-ს (გზათა სახ. კ-ტის სარკინისგზო რელსებისა და სარელსო სამაგრების თანჩართვით).

ხოლო სადამკვრელო საშენებლები („ფერრომარგანშენი“, „ტყვარჩელშენი“, „რიონჰესი“, „ზაჰესი II„, „საქშაქშენი“ „ძორაჰესი“, „ნატახშენი“, ფერადი მეტალურგია, ყარაქლისის ციანამიდის ქარხანა) უზრუნველყოფილია ლითონით საშუალოდ 85—90%-ით.

აღნიშნავს-რა უაღრესი მნიშვნელობის მქონე ახალ საშენებელთა პირველ რიგში მომარაგების მიზანშეწონილობას შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დირექტივების შესაბამისად, აღსრულების შემმოწმებელი კომისია სთვლის, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) გამგებლობაში მყოფი ლითონმრეწველობის საწარმოთა და აგრეთვე ბათუმის საბიდონო ქარხნისა, სარეწაო კოოპერაციისა, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და სხვა მისთ.

ლითონით მომარაგება მიმდინარეობდა დაძაბულად, რაც აიხსნება ქარხანებში ლითონის საჭირო გარდამავალი საკომპლექტო ფონდის უქონლობით, გაცემული ლითონის მრეწველობის სპეციფირებულ მოთხოვნილებასთან შეუსაბამობით, საავარიო ფონდის უქონლობით, „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორის გაცვლა-გამოცვლის ბიუროს არ. დამაკმაყოფილებელი მუშაობით, ქარხნების მიერ „სტალსბიტის“ შეკვეთების აღუსრულებლობით, მომხმარებლების მიერ განაცხადის და განრიგების თავის დროზე წარუდგენლობით და მათ მიერვე დადგენილი ფორმით სპეციფიკაციის წარუდგენლობით, სახალხო კომისარიატებისა და უწყებების მიერ ლითონის ისე განაწილებით, რაც არ შეესაბამებოდა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას.

აღსრულების კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორას განაგრძოს 1933 წელსაც მომხმარებელთა ლითონით დაკმაყოფილება მთავრობის იმ დირექტივების სრული შესაბამისობით, რაც ეხება ცალკეულ მომხმარებელთა რიგობას მათ საგეგმო დანიშნულებათა დაფარვის სფეროში, და იხმაროს საჭირო ღონისძიებანი ნაკლებად უზრუნველყოფილ საწარმოთა ლითონით დაკმაყოფილებისათვის, მათ შორის პირველყოვლისა იმათი, რომელნიც აწარმოებენ და არემონტებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღს საგაზაფხულო თესვის კამპანიისთვის.

2. ერთი თვის ვადაზე მოწყობილ იქნეს ქვეხარისხოვანი ფონდი, რომელშიაც უნდა იყოს არა ნაკლებ 200 ტონნა შავი მეტალისა.

3. რათა თავიდან აცილებულ იქნეს შესაძლებელი დაყოვნება უაღრესი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა შავი ლითონით მომარაგებაში, თავის დროზე უნდა ეცნობოს მომხმარებელთ ყველა წინამდგომარე ცვლილება მიმწოდებელი ქარხნების საწარმოო პროგრამაში და შეკვეთათა აღსრულების ვადების გადადება.

4. „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორამ, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კ.სფსრ-ში) და საშენი მასალის გამნაწილებელ კომისიასთან ერთად, უნდა შეიმუშაოს 2 დეკადის ვადაზე „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორასთან ლითონბაზისის გახსნის საკითხი და წარუდგინოს იგი განსახილველად ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. საწარმოთა და საშენებელთა სავადო ცნობების საფუძველზე თვალყური უნდა ედევნოს იმას, რომ ლითონის გაცემა თავის დროზე შეთანხმებულ იქნეს საწარმოში ლითონის ქონა-არქონასთან.

6. მიღებულ იქნეს ცნობად „სტალისბიტის“ ა/კ. კონტორის განცხადება, რომ 1933 წ. I კვარტალიდან არსებობს ფონდი გაცვლა-გამოცვლის ბიუროსათვის, და წინადადება მიეცეს ლითონის ყველა მომხმარებელს ფართოდ გამოიყენოს „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორასთან არსებული გაცვლა-გამოცვლის ბიურო, რისთვისაც სათანადო დირექტივები უნდა მისცეს თავის ქვედა ორგანიზაციებს.

7. დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და „სტალსბიტის“ ა/კ. კონტორას—შეიმუშაონ 10 დღის ვადაზე წესი, რომლის მიხედვითაც ა/კსფსრ ლითონმრეწველობის ქარხნების მიერ დასამზადებელი

შენაკვეთები, რასაც პირველხარისხოვანი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მომარაგებულ იქნეს სათანადო რიგობით.

8. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებას და ორგანიზაციას—გამოყოფილი ფონდის თაობაზე ცნობების მიღებისათანავე, გაანაწილოს იგი, არა უგვიანეს 3 დღის ვადისა, რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღოს ლითონის კონტინგენტის მიზანშეწონილი განაწილება, საწარმოს საწარმოო შესაძლებლობანი და მასში დარჩენილი ლითონის რაოდენობა.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის გამნაწილებელ კომისიას—აღძრას შუამდგომლობა კავშირის საათანადო ორგანოების წინაშე საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ამიერკავკასიის საჭიროებისათვის გამოსაყოფი შავი ლითონის წლიური ფონდის გადიდების შესახებ.

10. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. პ ო დ ო ლ ს კ ი ს განცხადება, რომ მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტოდ საჭირო ლითონისადმი ძირითადად დაკმაყოფილებულია.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ა. ვარძიელი.**

1933 წ. თებერვლის 13
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

61. შეშის დამზადების და გამოზიდვის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა საქართველოს სატყეო ტრესტის (ამხ. ბრეგვაძე) მოხსენება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს ხეტყის დამზადებელი ორგანიზაციების სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობას დამზადების და გამოტანის როგორც 1932 წლის უკანასკნელი კვარტალისა, ისე 1933 წ. იანვრის გეგმების აღსრულების საქმეში.

საქართველოს სატყეო ტრესტის ხაზით დამზადებათა 1932 წლის მე-IV კვარტალის გეგმა შესრულებულია 85%-ით, ხოლო გამოზიდვის გეგმა—52%-ით,

საკურორტო სამმართველოს დამზადებათა იანვრის გეგმა წიწოვანი ჯიშების ხაზით მთლიანად არ არის შესრულებული (73%), ხოლო გამოზიდვის გეგმა—საერთოდ (77%.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სატყეო სარეწაო კავშირის ხაზით დამზადების გეგმა შესრულებულია 44,6%-ით, ხოლო გამოზიდვისა—81,3%-ით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და სუსტი ხელმძღვანელობა დამზადების და გამოზიდვის საქმეში „საქტყეტრესტის" მხრით (ამხ. კიკნაძე, ბრეგვაძე), საქართველოს საკურორტო სამმართველოს მხრით (ამხ. რუხაძე), საქართველოს სატყეო სარეწაო კავშირის მხრით (ქებური ა) და წინადადება მიეცეს მათ—უახლოეს დეკადაში მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების საქმეში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აფრთხილებს აღნიშნულ ამხანაგებს, რომ ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმების აღსრულების შემდგომი ჩაშალა გამოიწვევს მკაცრ საგადასახდელო ღონისძიებათ.

2. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ-ში, „საქტყეტრესტს" და საქტყესექციას"—დაამყარონ სასტიკი კონტროლი ხეტყის დამზადებისათვის გადადებული სასურსათო-საფურაჟო და სამრეწველო საქონლის ფონდების ხარჯვაზე, განფანტვის და გატაცების თავიდან აცილებით, და ასეთ შემთხვევებში დამნაშავენი აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

3. აღსრულების კომისია ავალებს იმავე ორგანიზაციებს—არავითარ შემთხვევაში არ მისცენ სასურსათო-საფურაჟო და სამრეწველო საქონლის ფონდები იმ სატყეო-სამრეწველო შეურნეობებს, რომელნიც დადგენილ ვადაზე არ არდგენენ ხეტყის დამზადების და გამოზიდვის გეგმის აღსრულებისა და სასურსათო-საფურაჟო და სამრეწველო საქონლის ფონდების ხარჯვის ანგარიშებს.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაუბრკოლებლად გამოჰყონ ხოლმე ხეტყის დამზადების და გამოზიდვისათის დანიშნული სასურსათო-საფურაჟო და სამრეწველო საქონლის ფონდები და გამოყოფილი ფონდები რეალიზებულ ჰყონ თავის დროზე; თანაც ანგარიშში მიიღონ, რომ ამ ფონდების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ხეტყის დამზადებელი ორგანიზაციების მიერ გეგმების ფაქტიურად შესრულებას.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასახულია კონკრეტული საორგანიზაციო და პრაქტიკული ღონისძიებანი საქართველოში ხეტყისა და შეშის დამზადების გაძლიერებისათვის და შექმნილია როგორც ცენტრში, ისე რაიონებში სპეციალური სამეულები, რომელნიც პასუხმგებელ არიან ხეტყისა და შეშის დამზადების და გამოზიდვის წარმატებით ჩატარებისათვის.

6. ხეტყის დამზადების და გამოზიდვის მსვლელობის იანვრის მესამე დეკადის ჯუმლების წარუდგენლობისათვის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში ამხ. შაკინცს გამოეცხადოს საყვედური.

7. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის ა/წ. თებერვლის 25-ის სხდომაზე მოსმენილ იქნეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა

(საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში) მოხსენებანი ხეტყის დამზადების და გამოზიდვის მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ი. ვარძიალი.**

933 წ. თებერვლის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

63. „კავშირგაბმულობის მომუშავეთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ა/კსფსრ სკს-თან ამხ. დაშკევიჩის მოხსენება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში ვერ მოახერხა თავის ღროზე ისეთი პირობების შექმნა, რაც საჭიროა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განსახორციელებელად: მხოლოდ ოქტომბერშია გამოცემული ბრძანება კავშირგაბმულობის მომუშავეთა მძღვანებელი ჯგუფების მეორე სიიდან პირველ სიაში გადაყვანის შესახებ.

იმის გამო, რომ როგორც კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური სამართველოები, ისე მომარაგების სახალხო კომისარიატის და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანური ორგანოები („აზერიტიფაკ", „ცენკავშირი", „ჰაიკოოპ") საკმარის ყურადღებას არ აქცევენ კავშირგაბმულობის მომუშავეთა მომარაგების გაუმჯობესების საქმეს, იგი ცალკეულ რაიონებში მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მაგალითად: აზერბაიჯანის სსრ-ის მასსალის, ლენქორანის, ყარიაგინის, შემახის, ბარდის და სხვა რაიონებში და ნახიჩევანის მხარეში კავშირგაბმულელნი გადაყვანილ არ არიან I-ლ და მე-II სიებში.

სამომხმარებლო კოოპერაცია უმეტეს შემთხვევაში ცუდად ამარაგებს საცადილოებს და ბუფეტებს, რის გამოც ა/კსფსრ-ში საზოგადოებრივი კვებით მოცულია კავშირგაბმულელთა მხოლოდ 60%-დე (დიდ ქალაქებში).

თვითდამზადებანი სუსტად არის გაშლილი. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს განკარგულებაში საბრუნავი სახსარისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადებული 130.000 მან (აზ-სსრ—48.000 მან., სომხეთის სსრ—15.000 მან. და საქ. სსრ—67.000 მან.) საკმარისი არ არის; სახელმწიფო ბანკში კრედიტის მიღება (დამზადებათა გარანტიით) გაძნელებულია.

საგარეთუბნო მეურნეობის მოწყობა დაწყებულია მხოლოდ დეკემბერში. კავშირგაბმულობის რესპუბლიკანურ სამმართველოებს ვერ აუთვისებიათ გადადებული სახსარი და არა აქვთ ტექნიკური გეგმები. ამითვე აიხსნება სუსტი მუშაობა თვითმოქმედების არტელთა მოწყობისათვის. სპეცტანსაცმელით მომარაგება ჩატარებულია არადამაკმაყოფილებლად.

ა/კსფსრ სკს-თან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამხ. კვანტალიანს და ამხ. ოსეპჩუკს—განამტკიცონ ის ამოძრავება, რაც საქმეს დაეტყო, და უფრო მეტად გააძლიერონ კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური სამმართველოების კონკრეტული ხელმძღვანელობა კავშირგაბმულობის მომუშავეთა მომარაგების უზრუნველყოფის საქმეში; ოანაც იქონიონ შეუსუსტებელი კონტროლი, რათა კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური ორგანოები პრაქტიკულად ანხორციელებდნენ საკავშირო მთავრობის და ამიერკავკასიის სადირექტივო ორგანოების დადგენილებებს და დირექტივებს ამ საკითხის თაობაზე.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კავშირგაბმულობის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო მიენდოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ მარტის განმავლობაში კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური სამმართველოების მუშაობა მომარაგების უზრუნველყოფისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის სასურსათო ბაზისის მოწყობის საქმეში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სკს-თან) განცხადება, რომ სამომზადებლო მუშაობა საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად ჩატარებულია საქართველოს სსრ-ში 150 ჰექტარზე (ნაკვეთებად), აზერბაიჯანის სსრ-ში—155 ჰექტარზე და სომხეთის სსრ-ში—30 ჰექტარზე; წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—ინფორმირებულჰყოს 2 დეკადის ვადაზე აღსრულების შემმოწმებელი კომისია ამ საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის გაშლის შესახებ.

4. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მიაღწიოს ერთი თვის ვადაზე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების სრულ რეალიზაციას, სახელდობრ იმ ნაწილისას, რაც ეხება I-ლ და მე-II სიაში გადაყვანილ კავშირგაბმულობის მომუშავეთა უზრუნველყოფას სურსათის სათანადო ნორმებით და ფართო მოხმარების საგნებით.

5. დაევალოს ა/კ. რკინისგზების დირექციას—უზრუნველჰყოს მომარაგებით კავშირგაბმულობის სახაზო მომუშავენი, სატრანსლაციო და საკონტროლო პუნქტების რადიოტექნიკოსნი და მათი სარჩენი პირნი I-ლი სიის მიხედვით სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი კონტინგენტის კვალობაზე, და დაუბრკოლებლად ამარაგოს სარკინისგზო საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებათა და სააგენტოთა საფოსტო ვაგონების მომუშავენი და მათი სარჩენი პირნი იმ ადგილებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც არ არსებობს სამომხმარებლო კოოპერაციის წერტები, მეტრანსპორტეთა თანაბრად, რკინისგზების სათანადო სიებისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ა/კ. სამმართველოს განაცხადების თანახმად.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—მოაწყოს ვადაზე ქ. ერევანში კავშირგაბმულობის დამოუკიდებელი დახურული განმანაწილებელი და უზრუნველჰყოს კავშირგაბმულობის საწარმოთა სასადილოები და ბუფეტები ნორმირებული პროდუქტებით საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა თანაბრად.

7. წინადადება მიეცეს სოციალური დაზღვევის ა/კ. კომიტეტს—უზრუნველჰყოს დამოუკიდებელი სადიეტო სასადილოების მოწყობა კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის ქალ. ტფილისსა და ბაქოში.

8. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაკმაყოფილოს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მეშვეობით, კავშირგაბმულობის რესპუბლიკანური სამმართველოებისა და კავშირის ცენტრალური გამგეობის განაცხადები მიწების მიჩენის შესახებ რაიონებში კავშირგაბმულობის საგარეთუბნო მეურნეობების მოსაწყობად.

დადგენილება ესე გამოქვეყნებულ იქნეს პრესაში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ვ. ვარძიელი.**

1933 წ. თებერვლის 23.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

64. საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ში ხეტყის დამზადების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს სსრ-ში (ამხ. ბრეგვაძის) და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სომხეთის სსრ-ში (ამხ. ედილიანის) მოხსენებანი,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

ს ო მ ხ ე თ ი ს სსრ-ში:

მაშინ, როდესაც დამზადება მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად (ა/წ. თებერვლის 20-თვის შესრულებულია სანაკეთო მერქანის კვარტალური გეგმის

84,4%-ი) გამოზიდვის გეგმის აღსრულება ჯერ კიდეც ჩამორჩენილია: 1933 წ. თებერვლის 20-თვის სანაკეთო მერქანის გამოზიდვის 1-ლი კვარტალის გეგმა შესრულებულია 38,3%-ით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია წინადადებას აძლევს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში—იხმაროს ყველა საჭირო ღონისძიება ტყის დამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებისათვის ხეტყის გამოზიდვის ხაზით, პირველყოვლისა სანაკეთო მერქანის გამოსაზიდად ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს საექსპორტო გეგმას, და აგრეთვე განამტკიცოს ის, შედარებითი, გარდატეხა, რამაც თავი იჩინა თებერვლის მე-2 დეკადაში შეშისა და ხეტყის მასალის გამოზიდვის მიმართულებით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ავალებს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში—დაამყაროს უსასტიკესი კონტროლი ხეტყის დამზადებისათვის გადადებული სასურსათო-საფურაჟო და და სამრეწველო საქონლის ფონდების ხარჯვის საქმეში და მკაცრ პასუხისგებაში აძლიოს სატყეო-სამრეწველო მეურნეობების დირექტორები სასურსათო-საფურაჟო და სამრეწველო საქონლის გაფანტვისა და უკანონო გადამეტხარჯვისათვის და თავის დროზე დადგენილი ანგარიშგების წარუდგენლობისათვის, აგრეთვე ხეტყისა და შეშის დამზადების მსვლელობის ანგარიშგების წარუდგენლობისათვის.

აღსანიშნავია-რა, რომ ყარაქლისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის სადახლოს ზადამზადებლო უბანში მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის ძალის საგროვებელი წყარო სადახლოს ქვერაიონის სოფლებია და რომ აღნიშნულ სატყეო-სამრეწველო მეურნეობაზე ამ სოფლების მიმაგრების შესახებ უკვე გამოტანილია დადგენილებები, რასაც ბორჩალოს რაიონის ადგილობრივი ორგანოები არ ასრულებენ,—ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მოაწესრიგოს ეს საკითხი უმოკლეს ვადაზე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სსრ-ში:

მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ბრეგვაძის განცხადება, რომ სანაკეთო მერქანის დამზადების თებერვლის გეგმა შესრულებულია თებერვლის ორი დეკადის განმავლობაში 30,7%-ით.

სანაკეთო მერქანის გამოზიდვის თებერვლის გეგმა თებერვლის 21-თვის შესრულებულია 34,4%-ით, ხოლო კვარტალური გეგმა ა/წ. თებერვლის 20-თვის შესრულებულია 17,1%-ით.

აღნიშნავს-რა ხეტყის დამზადების და გამოზიდვის საქმის უმნიშვნელო ამოძრავებას თებერვლის მე-2 დეკადაში (დამზადებულია სადეკადო გეგმის 76,9%-ი და გამოზიდულია სადეკადო გეგმის 71,2%-ი),—აღსრულების შემოწმებელი კომისია სთვლის, რომ საქართველოს სსრ-ში ხეტყისა და შეშის როგორც დამზადების, ისე, განსაკუთრებით, გამოზიდვის გეგმის აღსრულება მიმდინარობს ჯერ კიდევ მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებლად.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ავალებს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სა-

ტყეო ტრესტს—გააძლიერონ უფრო მეტად როგორც თვით ტრესტისა, ისე, განსაკუთრებით, სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა მუშაობა—ისეთი ვარაუდით, რომ კვარტალური გეგმა მთლად იქნეს შესრულებული.

ვინაიდან სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა მომარაგება ბრკოლდება იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი არ არდგენენ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდების ხარჯვის ანგარიშგებას, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ერთხელ კიდევ აფრთხილებს ყველა სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს, რომ, უკეთუ არ წარადგენს აღნიშნულ ანგარიშგებას, მეურნეობა მოხსნილ იქნება მომარაგებიდან და დირექტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა მუშაობის ჩაშლისათვის.

ანგარიშგების წარუდგენლობისათვის გამოეცხადოს საყვედური:

ჭურისხევის სატყ.-სამრეწ. მეურნ. დირექტორს ამხ. პ ო გ ო რ ე ლ ო ვ ს.
საჩხერის „ „ „ ამხ. ვ ა შ ა ძ ე ს.
ამბროლაურის „ „ ამხ. ე ნ უ ქ ი ძ ე ს.

დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, სომხეთის სსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ-ში—შეუდგნენ ღონისძიებათა მომზადებას (რაიონებში მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის ძალის გამორკვევა, გამოზიდვის რაიონობითი გეგმების შედგენა შრომის სახალხო კომისარიატებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად და სხვ. მისთ.) საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შემდეგ განთავისუფლებული საგლეხო მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის ძალის ფართოდ გამოსაყენებლად ხეტყის და შეშის გადმოზიდვის 1933 წლის 1-ლი ნახევარწლის გეგმის სავსებით შესრულებისათვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე მარტის 17-ს მოსმენილ იქნეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (საქართველოს სსრ-ში, სომხეთის სსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ-ში) მოხსენებანი ხეტყის დამზადების და გამოზიდვის კვარტალური გეგმის აღსრულების შემდგომი მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. **ვარძიელი.**

1933 წ. თებერვლის 23.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

65. „სასკოლო სადგომების გამოყენების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების აღსრულების საკითხის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

საქალაქო საბჭოებმა არ იხმარეს რამოდენადმე ენერგიული ღონისძიებანი კერძო პირებისა და სკოლის თანამშრომლებისაგან სასკოლო სადგომების გასანთავისუფლებლად.

ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიები უმოქმედონი აღმოჩდნენ (მაგალ. ბაქოში).

საქალაქო საბჭოებს, სარაიონო საბჭოებს, სახალხო განათლების განყოფილებებს და სარაიონო სახალხო განათლების განყოფილებებს არავითარი გეგმები არა ჰქონდათ სასკოლო სადგომების განთავისუფლების შესახები სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

განათლების სახალხო კომისარიატებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა (სახალხო განათლების საქალაქო განყოფილებები, სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებები) აგრეთვე არ გამოიჩინეს სიმტკიცე კერძო მდგმურებისაგან სკოლების განთავისუფლების საქმეში.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოები, იმის ნაცვლად რომ ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ საქმისათვის, ხანდახან, ვიწრო ფორმალური მოსაზრებით, აბრკოლებდენ სასკოლო სადგომებიდან მდგმურების გამოსახლებას და მოითხოვდენ, მდგმურების სურვილისამებრ, გამოსასახლებელთათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემას აუცილებლად იმ სივრცისა, რაც წინად ეჭირათ, ან სრულიად კრძალავდენ გამოსახტებას.

საქმისადმი ასეთი პასსიური მოპყრობის გამო სკოლების უმეტესი ნაწილი ჯერ მძიმე მდგომარეობაშია; მაგალითად—ქ. ბაქოში—30%-ი და ქ. ერივანში—85% სკოლებისა მეცადინეობენ სამ ცვლად; ქ. ტფილისში მთელი ფართობის 8%-ი (9.000 კვ. მეტრამდე) უჭირავთ სკოლების თანამშრომელთ; ბაქოში კერძო მდგმურებსა და საბჭოთა დაწესებულებებს უჭირავთ 215 სასკოლო ოთახი და 11 სასკოლო შენობა მთლიანად.

არის მთელი რიგი შემთხვევები სკოლებში გარეშე მოკალაქეთა ჩასახლებისა (ერივანში—აბოვიანის სახელობის ათწლედი, ტფილისში—მე-14 საფაბრიკო-საქარხნო ათწლედი, ბაქოში—ვოროშილოვის რაიონი—სკოლები № 4, 8 და 16).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ განათლების სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 7-ის დეკრეტის პრაქტიკულ განხორციელებას—ისეთი ვარაუდით, რომ აპრილის 1-დან ივნისის 1-დე სასკოლო ფართობები რეალურად განთავისუფლებულ იქნეს კერძო პირებისაგან.

2. დაევალოს სასამართლო და პროკურატურის ორგანოებს—გაუწიონ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს და საქალაქო საბჭოებს ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს მიმდინარე კვარტალშივე შეამოწმონ, რამდენად შეასრულეს რესპუბლიკანურმა ორგანოებმა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილება სკოლის სადგომების განთავისუფლების შესახებ, და პასუხისგებაში მისცენ ამ დადგენილების აღუსრულებლობაში დამნაშავე პირნი.

4. კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან სასკოლო სადგომების საჩქაროდ განთავისუფლების მიზნით და არსებული კომისიების სრული უმოქმედობის გამო ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ თავიანთთან სპეციალური კომისიები რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებისა, საქალაქო საბჭოებისა და პროკურატურის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შედგენილობით.

აღნიშნულმა კომისიებმა თავიანთ მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი წესი, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. თებერვლის 26-ის დადგენილებით „ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომებიდან გამოსახლების შესახებ“:

ა) განათლების სახალხო კომისარიატების ორგანოები მოვალენი არ არიან მიუჩინონ გამოსასახლებელთ სხვა საცხოვრებელი ფართობი;

ბ) ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან მიუჩინონ გამოსახლებულ მუშებს, მოსამსახურეებს და მშრომელთა სხვა კატეგორიებს საცხოვრებლად ვარგისი ფართობი ადგილობრივ არსებული ნორმების მიხედვით;

გ) ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არ არიან მიუჩინონ საცხოვრებელი ფართობი იმ გამოსასახლებელთ, რომელთაც შესწყვიტეს მუშაობა განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებში ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე, ან რომელნიც დათხოვნილ არიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის თუ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით;

დ) მშრომელთა გამოსახლება მოხდება ერთი თვის ვადის გასვლისას მათთვის გამოსახლების თაობაზე გამოცხადების დღიდან—იმისდამიუხედავად, მიუჩენეს თუ არა მათ ადგილობრივი საბჭო აღნიშნულ ვადაზე საცხოვრებელ ფართობს;

ე) არამშრომელი ელემენტების გამოსახლება მოხდება 7 დღის გასვლისას მათთვის გამოსახლების თაობაზე გამოცხადების დღიდან.

5. სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ტექნიკუმებისა, კურსებისა დასხვა მისთ. დაჭერილი სასკოლო სადგომების მაქსიმალურად შემცირების მიზნით წინადადება მიეცეს რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებსა და სახალხო განათლების განყოფილებებს—გადასინჯონ ხელშეკრულებანი სამეურნეო ორგანოებთან ისეთი ვარუდით, რომ ეს სადგომები 1933 წლის განმავლობაში განთავისუფლებულ იქნეს საბოლოოდ.

აღსრულების შემმომებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ი. ვარძიელი.**

1933 წ. თებერვლის 23.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

66. „სტუდენტების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სადირექტივო და მთავრობის ორგანოების დადგენილებათა აღსრულების შესახებ.

მთისმინა-რა ტფილისის სტუდენტთა ქალაქის მმართველას ამხ. ვაშაკიძის მოხსენება, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სტუდენტთა ქალაქის მშენებლობის დაფინანსებისა და სტუდენტების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 27-ის და 1932 წ. ოქტომრის 1-ის დადგენილებანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბერის 29 დადგენილება და სხვ.) ჯერ კიდევ შესრულებული არ არის მთელი რიგი ორგანიზაციების მიერ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღსანიშნავია-რა ფაბრიკა-სამზარეულოს და სასადილოს გაწყობის მეტის-მეტად დაყოვნება, დაევალოს ა/კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს „მშენბიუროს“ და „საქსაზკვებას“—დაუყოვნებლივ შეუდგნენ ფაბრიკა-სამზარეულოს გაწყობას—იმ პირობით, რომ გაწყობილობის შეკვეთას და განაწილებას კისრულობს „საქსაზკვება“, ხოლო მონტაჟს—ა/კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს „მშენბიურო“.

დაეკისროს სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს პასუხისმგებლობა ამ სამუშაოების თავის დროზე დაფინანსებისათვის.

მაენდოს ამხ. ვარძიელს—წარადგინის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბ-ჭოში სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებული წინადადებანი ამ საკითხის შესახებ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად ტფილისის საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ჭავ-ჭავაძის განცხადება, რომ ტფილისის საბჭო კისრულობს დაამთავროს უნივერ-სიტეტის ჭუჩის მოკირწყლვა სექტემბრის 1.-თვის.

მიენდოს ტფილისის საბჭოს—დააჩქაროს ტროტუარის მშენებლობა და აგრეთვე განახორციელოს მიმდინარე წლის გაზაფხულზე სტუდენტთა ქალაქის ტერიტორიის გამწვანება.

3. დაევალოს ცეკავშირს—გაძლიეროს სტუდენტთა ქალაქის მუშათა და ხურული კოოპერატივი საბრუნავი სახსარით 30.000 მან. ფარგლებში, ამ თან-ხის ერთი თვის განმავლობაში ასიგვნით, ხოლო სტუდენტთა ქალაქის სამმარ-თველოს—გამოჰყოს ამავე მიზნისათვის არა ნაკლებ 15,000 მანეთისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებას—გააძლიერონ მეთვალყურე-ობა სტუდენტთა ქალაქის სანიტარული მდგომარეობისათვის და უზრუნველ-ჰყონ სავსებით სამედიცინო მომსახურეობა.

5. აღსანიშნავია-რა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, სამუსიკო ინსტუტმა, აფხაზეთის სატყეო ტრესტმა და სომხეთის სატყეო ტრესტმა არ შე-ასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სტუდენტთა ქალაქის წინაშე სათანადო თანხების შეტანის თაობაზე მშენებლობისა და საერთო-საცხოვრებლებში სტუ-დენტთა ფაქტიური ცხოვრებისათვის,—დაევალოს ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გაითვალისწინონ 1933 წლის ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ამ დავალიანების დაფარვა 13.600 მანეთის რაოდენობით; დაევალოს სომხეთის სატყეო ტრესტს—დაჰფაროს 2 დე-კადის ვადაზე თავისი დავალიანება 4.000 მან. რაოდენობით და აფხაზეთის სა-ტყეო ტრესტს—იმავე ვადაზე 5.000 მან. რაოდენობით; დაევალოს სამუსიკო ინსტიტუტს—დაჰფაროს მარტის 5-თვის თავისი დავალიანება 1.325 მან. რაო-დენობით.

6. ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ლიკვიდაციის გამო—ეთხო-ვოს ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს—ამ ორგანიზაციაზე დარჩენილი ვალი 14.000 მან. რაოდენობით დააკისროს აზერბაიჯანის ხრალეული კულტურების ტრესტს და საქართველოს „რამს“.

7. მიექცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სტუდენტებს შორის არა სწარმოებს კულტურულ-განმანა-თლებელი და საზოგადოებრივი მუშაობა და რომ ამმხრივ პროფესიონალურ კავ-შირთა საბჭოსთან არსებული სტუდენტთა სექცია უმოქმედობას იჩენს, და ეთხო-ვოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდუმს—დასახოს პრაქტიკული ღო-ნისძიებანი სტუდენტებისათვია კულტმომსახურეობის მოსაწყობად და დაადვას ამხანაგთ ლაღიძეს და ახალაძეს გადასახდელი.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—უზრუნველ-ჰყოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის

1932 წ. სექტემბრის 29-ის დადგენილების შესაბამისად, 1933 წელს სტუდენტთა ქალაქის საშენი მასალით გეგმის გარეშე მომარაგება საერთო-საცხოვრებელთა მიმდინარე რემონტისათვის.

დაევალოს ამხ. ვაშაკიძეს წარუდგინოს 10 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის გამნაწილებელ კომიტეტს სათანადო განაცხადი.

9. დაევალოს ა/კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს „მშენბიუროს“— გაანთავისუფლოს მთლად ა/წ. მარტის 15-თვის მის მიერ სტუდენტთა ქალაქში თავისი მუშებისათვის დაჭერილი კორპუსი.

მიენდოს ქ. ტფილისის პროკურორს თვალყური ადევნოს ამ პუნქტის აღსრულებას.

10. საქართველოს სსრ მომარაგების სახალო კომისარიატმა და „საქსაზკვებამ“ უნდა შეამოწმონ 5 დღის ვადაზე სტუდენტთა ბუფეტის მომარაგების საქმის მდგომარეობა და იხმარონ ღონისძიებანი მისი სრული უზრუნველყოფისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 29-ის დადგენილების შესაბამისად.

11. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ეროგინის განცხადება, რომ ამხ. მოლოტოვის განკარგულებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სტუდენტთა ქალაქს უნდა მიეცეს რადიატორები, მის, ეროგონის, მიერ მიღებულია, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მოსკოვში, ღონისძიებანი ამ რადიატორების მისაღებად.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი **ი. ვარძიელი.**

1933 წ. ოებერვლის 23.
ტფილისი.

-32

მთავლიტი № А-184. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 1975. ტირაჟი 1.000.